ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №Eu/Nato/2017/15
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 08.06.2017წ

ერთის მხრივ, სსიპ **„საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ბოლქვაძის სახით, (შემდგომში **,,შემსრულებელი"**) და მეორეს მხრივ, სსიპ „კონკურენციის სააგენტო" წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის, რევაზ კავთელიშვილის სახით, (შემდგომში **,,შემკვეთი"**), ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით და დანართი N1-ით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაუწიოს ,,შემკვეთს" საკონფერენციო დარბაზით უზრუნველყოფა (CPV79900000)

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საკონფერენციო დარბაზის მისამართია ქ. თბილისი, შ.დადიანის ქ. № 2/1 სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი", მეორე სართული, დარბაზი „ილია ჭავჭავაძე".

1.3. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული საკონფერენციო დარბაზის მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2017 წლის 20 ივნისს 10:00- საათიდან 15:00 საათამდე.

2. ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული საკონფერენციო დარბაზის მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

2.2. მხარეთა შორის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

2.3. მხარეთა შორის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგი წესის მიხედვით:

- მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება მომსახურების მიღებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. ხელშეკრულების საგანი მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა მიერ უფლებამოსილი პირები ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

3.2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მოსილება შემსრულებლის მხრიდან განესაზღვროს დირექტორის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობა

4.1. შემსრულებლის უფლება-მოვალეობა

4.1.1. გადასცეს საკონფერენციო დარბაზი ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება შემკვეთის მიზნებისათვის მის გამოყენებას;

4.1.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4.2. შემკვეთის უფლება-მოვალეობა

4.2.1. გაუფრთხილდეს საკონფერენციო დარბაზს და გამოიყენოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

4.2.2. დაიცვას საკონფერენციო დარბაზი და მასში განთავსებული ინვენტარი ხელყოფისაგან და სხვა ნებისმიერი სახის დაზიანისგან;

4.2.3. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

4.2.4. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. მომსახურების ღირებულების, მათ შორის ავანსის თანხის გადახდის ვადის გადაცილებისთვის, შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს შემკვეთს პირგასამტეხლოს გადასახდელი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

5.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემკვეთს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და 5.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა;

5.4. ხელშეკრულების პირობების და ვალდებულებების შეუსრულებლობის (დარღვევის) განმეორებით გამოვლენის შემთხვევა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შეხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულებადა მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამასთან შემკვეთს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება გაწეული ნებისმიერი სხვა ხარჯები;

5.6. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. დავის გადაწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია, გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

6.2. ასეთი მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებ-ულებების შეუსრულებლობის, არა ჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისა თვისობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (მოვლ-ენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვ.).

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

8. წარმომადგენლობა, დასტურები და გარანტიები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი აღჭურვილნი არიან ამ ხელშეკრულების დადებისა და შესრულების სათანადო უფლებამოსილებებით და მოქმედებენ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

8.2. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მათ არა აქვთ დადებული რაიმე გარიგება, ან არა აქვთ ნაკისრი რაიმე ვალდებულება და მათთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებას.

8.3. შემსრულებელი წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით იძლევა გარანტიას და ადასტურებს, რომ მის მიერ შესრულებულია ან\და დაკმაყოფილებულია ყველა ის მოთხოვნა, აგრეთვე მიღებულია ყველა სახის ნებართვა თუ თანხმობა, რაც აუცილებელია და უკავშირდება მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების სრულად შესრულებას და მას აქვს სრული უფლება და შესაძლებლობა ხელი მოაწეროს წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.4. მხარეები ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად, კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და დათქმულ ვადებში შეასრულებენ ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებსა და პირობებს.

9. დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია **2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;**

9.2. მხარეებს შორის შეტყობინების გაგზავნა ხდება წერილობითი ფორმით, შეტყობინება ძალაშია ადრესატისთვის წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტზე ჩაბარების დღიდან;

9.3. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით, ხელმოწერილია მხარეთა მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები შეადგენენ მის განუყოფელ ნაწილს;

9.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა შემკვეთს, ხოლო მეორე ეგზემპლარი შემსრულებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსრულებელი"

სსიპ "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ"

ს/კ 202 303 765

ქ.თბილისი, შ.დადიანის ქ.# 2/1
ანგარიში: სახელმწიფო ხაზინა 707397075

დირექტორი:
ნინო ბოლქვაძე

"შემკვეთი"

სსიპ „კონკურენციის სააგენტო"
ს/კ 205 310 938
იურიდ. მის. ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას N7:
ფაქტ.მის.ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ.N154;
TRESGE22

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი:
რევაზ კავთელიშვილი

2017 წლის 07 ივნისის EU/NATO/2017/15 ხელშეკრულების დანართი #1

საინფორმაციო ცენტრის სივრცეების გამოყენების წესები

1. სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზებში ღონისძიების მოწყობისათვის (გამოფენა, კონფერენცია, ლიტერატურული საღამო და ა.შ.) ღონისძიების მოწყობის მსურველი: - მოვალეა, შეავსოს განცხადების ფორმა (ფორმა იხილეთ დანართში), სადაც აღნიშნავს ჩატარების სავარაუდო დროს, ღონისძიების შინაარს, პროგრამას, და დაელოდოს ცენტრის საორგანიზაციო ჯგუფის პასუხს ღონისძიების გამართვასთან დაკავშირებით. განმცხადებელს პასუხი ეცნობება **7 (შვიდი)** სამუშაო დღის განმავლობაში.
2. ცენტრსა და ღონისძიების მოწყობის მსურველს შორის შეთანხმების შემდეგ, ცენტრი ხელს შეუწყობს ღონისძიების გამართულად ჩატარებას (არსებული ტექნიკური და ადამიანური რესურსების გამოყენებით).
3. საორგანიზაციო და ტექნიკური ჯგუფი უზრუნველყოფს საკონფერენციო დარბაზის გამართულად და მოწესრიგებულად მუშაობას.
4. განმცხადებელი ვალდებულია, წინასწარ ჩააყენოს საქმის კურსში საინფორმაციო ცენტრის ტექნიკური ჯგუფი შესაბამისი ტექნიკური საშუალებების გამოყენების თაობაზე, რათა შემდგომ თავიდან იქნას აცილებული უხერხული და გაუთვალისწინებელი შემთხვევები.
5. ღონისძიებაზე მოქალაქეთა დასწრების უზრუნველყოფა განმცხადებლის მოვალეობაა. ასევე, ცენტრი არ უზრუნველყოფს მედიის გაფრთხილებასა და მოყვანას.
6. განმცხადებელი ვალდებულია, ღონისძიების დაწყების დრომდე მინიმუმ **1 (ერთი) საათით ადრე გამოცხადდეს** დარბაზში, წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრი იტოვებს უფლებას გააუქმოს დანიშნული ღონისძიება.
7. როდესაც იმართება წიგნის პრეზენტაცია, სავალდებულოა აღნიშნული **წიგნის 3 ეგზემპლარი გადაეცეს** საინფორმაციო ცენტრის ბიბლიოთეკას.
8. საღამოს დასრულების შემდგომ განმცხადებელი ვალდებულია, საინფორმაციო ცენტრს დაუზიანებლად ჩააბაროს ტექნიკური ინვენტარი. დაზიანების შემთხვევაში შეცვალოს დაზიანებული ნივთი ან მოახდინოს ნივთის საფასურის გადახდა.
9. იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ცენტრის დარბაზში იმართება მხატვრული თუ სხვა სახის ნამუშევრების გამოფენა, ღონისძიების მოწყობის მსურველი იღებს ვალდებულებას თვითონ უზრუნველყოს, როგორც ნამუშევრების გამოფენა და დაცვა დღის მანძილზე, ასევე, შეთანხმებულ დროს გამოფენის დასრულება და ექსპონატების ორგანიზებულად გატანა საგამოფენო დარბაზიდან. განმცხადებელი ვალდებულია საინფორმაციო ცენტრის საგამოფენო სივრცის ან ტექნიკური ინვენტარის დაზიანების შემთხვევაში განაახლოს საგამოფენო სივრცის დაზიანებული ნაწილები. ასეცე, მოახდინოს დაზიანებული ტექნიკური ინვენტარის ჩანაცვლება ან მისი საფასურის გადახდა.
10. ღონისძიების მოწყობის მსურველი იღებს ვალდებულებას გაითვალისწინოს აღნიშნული საკითხები, რათა ხარისხიანად და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით მოხდეს ღონისძიების ჩატარება.

“შემსრულებელი”

სსიპ "საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ"

ს/კ 202 303 765
ქ.თბილისი, შ.დადიანის ქ.# 2/1

ანგარიში: სახელმწიფო ხაზინა 707397075

დირექტორი:
ნინო ბოლქვაძე

“შემკვეთი”

სსიპ „კონკურენციის სააგენტო“
ს/კ 205 310 938
იურიდ. მის. ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას N7:
ფაქტ.მის.ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ.N154;
TRESGE22

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი:
[illegible]ვაზ კავთელიშვილი